საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020169029647420

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 13/CIRC/MSD **25 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოში მოქმედ ყველა ნავსადგურს,
ტერმინალის ოპერატორს, ყველა მოქმედ
საზღვაო სააგენტოებს, სალოცმანო კომპანიებს,
ყველა დაინტერესებულ მხარეს

შინაარსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 24 მარტის ბრძანება N01-120/ო სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობა განაგრძობს საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების საწინააღმდეგეგო პრევენციულ ღონისძიებებს. აღნიშული ღონისძიებების ფარგლებში დამტკიცდა სამუშაო ადგილებზე COVID-19 გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციები.

სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დამტკიცებული რეკომენდაციები ტრანსპორტის სფეროში წარმოდგენილია წინამდებარე ცირკულარის დანართის სახით.

სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის N12 ცირკულარი რჩება ძალაში და მოქმედებს წინამდებარე ცირკულართან ერთად.

აქვე, საქართველოს ყველა ნავსადგურის ხელმძღვანელობას მოეთხოვება დამტკიცებული წესების დაცვა სამუშაო ადგილზე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის N1 დეკრეტის „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ მე-8 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია დეკრეტის და „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილება N181-ის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა:

„ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. ამ დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს:

1. ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ჯარიმას ფიზიკური პირებისათვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისათვის – 15 000 ლარის ოდენობით.

2. ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.“

ხელმოწერილია/
შტამპვასმულია
ელექტრონულად

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

თამარ იოსელიანი